# საქართველო

## სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.:(0413 27 57 97, Fax.:(0413 275211
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

№ 117 21 მაისი 2018 წელი

**სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2018 წლის 17 მაისს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ 01/2111 მომართვაზე (სარეგისტრაციო 104) - „სენაკის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე**

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს $106^1$ მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილის, $106^2$ მუხლის მე-3 ნაწილის, $106^5$ მუხლის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2018 წლის 21 მაისის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულ იქნეს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (სენაკის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტზე – „სენაკის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე") მისაღებად ადმინისტრაციული წარმოება.
2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე გამოქვეყნდეს ცნობა – ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე და შესაბამისი პროექტი.
3. ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებულ იქნეს 2018 წლის 18 ივნისამდე.
4. ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებული მოსაზრების წარდგენის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 30 მაისამდე.
5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს – დავით ხუხიას და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს – ვეფხვია რუსიას.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად.

სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: კახაბერი რუსია